ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #5

ქ. ცაგერი 16 აპრილი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
ნოდარი საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, მამუკა მამარდაშვილი, ოთარი თვარაძე,
მამუკა ჩიქოვანი, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, თამაზ თვარაძე,
თინათინი ნემსწვერიძე, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი;

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ქეთევან კოპალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2026 წლის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის #25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების შეტანის საფუძველია „მუნიციპალიტეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის #620 განკარგულება. განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 25000(ოცდახუთიათასი) ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში :

- **ა(ა)იპ „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის“ სუბსიდია „ორგ. კოდი 05 02 09“**

25000(ოცდახუთიათასი) ლარი. თანხა განკუთვნილია საქართველოს კანონის“ ბავშვის უფლებათა“ კოდექსით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების განსახირციელებლად.

ასევე საკრებულოს გვინდა ვაცნობოთ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2026წლის 8 აპრილის #ბ80.8026098001 ბრძანების შესახებ, რომელიც ეხება „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20მარტის #589 განკარგულებას, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 9750 (ცხრაათასშვიდასორმოცდაათი) ლარის ოდენობით მისი უწმინდესობის და უნეტარესობის , სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც შემოსავლებში აისახება მიზნობრივი გრანტის სახით, ხოლო გადასახდელებში მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაში(მგზავრთა გადაყვანა).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 34750(ოცდათოთხმეტიათასშვიდასორმიცდაათი) ლარით და განისაზღვრა 27219,71ათ,ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ, აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 22 დადგენილების საფუძველზე მომზადდა ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი შემდეგი საპროექტო წინადადებები, რომლის განხორციელება იგეგმება 2026 წლისთვის:

1.ღვირიშის ღელესთან ქვათაცვენისგან დამცავი ბადეების მოწყობის სამუშაოები.

2. სოფელ ლეშკედის ავარიული ხიდის დემონტაჟისა და ახლის მოწყობის სამუშაოები.

3. სოფელ ლარჩვალის წყლის საწრეტი არხების მოწყობის სამუსაოები.

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვწვს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.განსახორციელებელ პროექტებზე მომზადებულია ტექნიკური დოკუმენტაცია. ამასთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების თანხები გათვლილია ადგილობრივ ბიუჯეტში.

განკარგულების პროექტის მიღებით ცაგერის მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ეძლევა კრიტიკულ ადგილებში ჩაატაროს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები სოფლებში: ღვირიში, ლეშკედა, ლარჩვალი, სადაც მოეწყობა საწრეტი არხები, ქვათა ცვენის დამცავი საშუალებები და აშენდება ახალი ხიდი. შესაბამისად გაუჯობესდება სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

განკარგულების პროექტის განხორციელება იგეგმება 2026 წლისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვასილ საღინაძე**